

ზრდადი დეპოზიტის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ზრდადი დეპოზიტის ხელშეკრულება # \_\_\_\_\_ (თარიღი) -----

დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი

- ✓ დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- ✓ დეპოზიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი \_\_\_\_\_, ყოველ შენატანს დაერიცხება იმ ვადის შესაბამისი პროცენტი რა ვადაც არის დარჩენილი შენატანის განხორციელებიდან დეპოზიტის ვადის გასვლამდე, სრული თვეების მიხედვით. თუ შენატანის განხორციელებიდან დეპოზიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია -- დღეზე<sup>1</sup> ნაკლები, შენატანს დაერიცხება წლიური საპროცენტო სარგებლი --- %.
- ✓ დეპოზიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი \_\_\_\_\_  
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია
- ✓ დეპოზიტის პირველადი შენატანის ოდენობა და ვალუტა \_\_\_\_\_
- ✓ დეპოზიტის ვადა \_\_\_\_\_. დეპოზიტის ვადის ამოწურვისას, თუ დეპოზიტორი არ მიმართავს ბანკს, რომ აღარ სურს დეპოზიტის განახლება, წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად განახლდება იმავე ვადით და პირობებით ეს წესი გამოიყენება დეპოზიტის ვადის ყოველი ამოწურვისას.
- ✓ დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, დეპოზიტს დაერიცხება რეალურად განთავსებულ ვადაზე წლიური -----%
- ✓ დეპოზიტორს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება. დეპოზიტორი ვალდებულია დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის სურვილის შემთხვევაში, 31 კალენდარული დღით ადრე მიმართოს ბანკს.
- ✓ თუ დეპოზიტორს თანხა გააქვს ვადაზე ადრე დეპოზიტის მოქმედების პირველი ვადის დასრულებამდე, დეპოზიტის საკომისიოს გარეშე განაღდებას (გატანას) შემღებს მხოლოდ შესაბამისი საბანკო (საგადახდო) ბარათით, რომლის დამზადების ღირებულება შეადგენს 10 ლარს.
- ✓ თუ დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი ბანკის მიერ იცვლება ხელშეკრულების განახლების მომენტისათვის, ამის შესახებ, ბანკი ორი თვით ადრე ატყობინებს დეპოზიტორს, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე. ბანკის მიერ დეპოზიტორს შეტყობინება ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით.

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები დეპოზიტორმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად, სტანდარტული წერილობითი ან თავისუფალი წერილობითი ფორმით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: [info@vtb.ge](mailto:info@vtb.ge)

<sup>1</sup> ლარში/აშშ დოლარში გახსნილი ზრდადი დეპოზიტის შემთხვევაში - 90 დღე. ევროში გახსნილი ზრდადი დეპოზიტის შემთხვევაში - 540 დღე.

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!<sup>2</sup>

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს<sup>3</sup>

ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო<sup>4</sup>

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა [www.nbg.gov.ge/cp](http://www.nbg.gov.ge/cp) და ცხელ ხაზზე +995 (032) 2406 406

## ზრდადი დეპოზიტის ხელშეკრულება N

ქ. -----

“-----“ ----- 20 --- წ.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ----- (შემდგომ – ბანკი) მისი -----  
----- სახით ერთი მხრივ, და ფიზიკური პირი ----- (შემდგომ –  
დეპოზიტორი) მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 დეპოზიტორს შეაქვს ბანკში თანხა N ----- სადეპოზიტო ანგარიშზე, ბანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით უბრუნებს დეპოზიტორს.
- 1.2 წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. ხელშეკრულების პირობები

- 2.1 დეპოზიტზე პირველად შენატანის განხორციელება ხდება ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე.
- 2.2 დეპოზიტის პირველადი შენატანის ოდენობა და ვალუტა: \_\_\_\_\_ აღნიშნული თანხა, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ბანკის მიერ ჩამოიჭრება დეპოზიტორის -----  
----- ანგარიშიდან და ჩაირიცხება 1.1 პუნქტში მითითებულ სადეპოზიტო ანგარიშზე.
- 2.3 დეპოზიტის ვადა \_\_\_\_\_
- 2.4 დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი წლიური: \_\_\_\_\_
- 2.4<sup>1</sup> დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- 2.5 დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წლიური \_\_\_\_\_
- 2.6 დეპოზიტის ლარში განთავსების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი წლიური \_\_\_\_\_<sup>5</sup>
- 2.7 ლარის შესაძლო 15 % იანი წლიური გამყარების შემთხვევაში დეპოზიტის გაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთია წლიური \_\_\_\_\_<sup>6</sup>

<sup>2</sup> იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

<sup>3</sup> იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

<sup>4</sup> იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

<sup>5</sup> იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

<sup>6</sup> იბეჭდება იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტი გახსნილია უცხოურ ვალუტაში

- 2.8 დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, დეპოზიტს დაერიცხება რეალურად განთავსებულ ვადაზე წლიური \_\_\_\_\_ %.
- 2.9 საპროცენტო სარგებელის გატანა ხდება : ა) ყოველთვიურად\*  
ბ) ვადის ბოლოს.\*\*
- 2.10 დეპოზიტზე პროცენტის დაანგარიშება ხდება ყოველდღიურად, 365 დღეზე გაანგარიშებით.
- 2.11 დეპოზიტზე დამატებითი შენატანების რაოდენობა და თანხა შეუზღუდავია.
- 2.12 დეპოზიტიდან თანხის ნაწილობრივი გატანა დაუშვებელია.
- 2.13 ყოველ შენატანს დაერიცხება იმ ვადის შესაბამისი პროცენტი რა ვადაც არის დარჩენილი შენატანის განხორციელებიდან დეპოზიტის ვადის გასვლამდე, სრული თვეების მიხედვით, დანართის შესაბამისად.
- 2.14 თუ შენატანის განხორციელებიდან დეპოზიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია --- (დღეების რაოდენობა ვალუტის შესაბამისად) დღეზე ნაკლები, შენატანს დაერიცხება წლიური საპროცენტო სარგებელი -----%
- 2.15 ყველგან, სადაც პროცენტის ოდენობა ან/და მხარეთა უფლება - მოვალეობები დაკავშირებულია დეპოზიტის ვადასთან, იგულისხმება, კონკრეტული ვადები [დეპოზიტის გახსნის/განახლების თარიღიდან უახლოესი ვადის დასრულების თარიღამდე] და არა სავარაუდო ან უკვე განხორციელებული განახლების საერთო ვადა/ვადები.
- 2.16 ბანკი, შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დაუკავებს დეპოზიტორს საშემოსავლო გადასახადს საპროცენტო სარგებლიდან.
- 2.17 სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის შეტანა/გატანა და პროცენტის დარიცხვა/გატანა წარმოებს დეპოზიტორის მიმდინარე/საბარათე ანგარიშის მეშვეობით.
- 2.18 დეპოზიტის ვადის გასვლისას დეპოზიტის თანხა გადადის დეპოზიტორის<sup>7</sup> \_\_\_\_\_ ანგარიშზე.
- 2.19 დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი გადადის დეპოზიტორის \_\_\_\_\_ <sup>8</sup>ანგარიშზე.
- 2.20 დეპოზიტის მოქმედების ვადის დასრულებისას, დეპოზიტის განახლების შემთხვევაში, დარიცხული საპროცენტო სარგებლის გატანა არ ხდება და ამ თანხით იზრდება დეპოზიტის თანხა.<sup>9</sup>
- 2.21 თუ დეპოზიტორს თანხა გააქვს ვადაზე ადრე დეპოზიტის მოქმედების პირველი ვადის დასრულებამდე, დეპოზიტის საკომისიოს გარეშე განაღდება (გატანას) შეძლებს მხოლოდ შესაბამისი საბანკო (საგადახდო) ბარათით, რომლის დამზადების ღირებულება შეადგენს 10 ლარს.

### 3. დეპოზიტორის უფლება-მოვალეობები

- 3.1 დეპოზიტორი ვალდებულია დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის სურვილის შემთხვევაში, 31 კალენდარული დღით ადრე მიმართოს ბანკს.
- 3.2 დეპოზიტორი უფლებამოსილია:
- 3.2.1 გაიტანოს დეპოზიტი ვადის დადგომისას ან ვადაზე ადრე.
- 3.2.2 წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მიიღოს ბანკისაგან ინფორმაცია მის სადეპოზიტო ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ.
- 3.2.3 წარადგინოს ბანკის ქსელის განვითარებისა და ადმინისტრირების განყოფილების პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფთან პრეტენზიები თავსართში მითითებული ფორმებით.

<sup>7</sup> ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი.

<sup>8</sup> ეთითება „მიმდინარე“ ან „საბარათე“ იმის და მიხედვით თუ რომელს აირჩევს კლიენტი. იმ შემთხვევაში, თუ დეპოზიტის განახლებისას ხდება პროცენტის კაპიტალიზაცია (იზრდება დეპოზიტის თანხა), ეთითება სადეპოზიტო ანგარიში.

<sup>9</sup> იწერება იმ შემთხვევაში, თუ ხდება პროცენტის კაპიტალიზაცია და კლიენტის მიერ არჩეულია პროცენტის ვადის ბოლოს გატანა.

#### 4 ბანკის უფლება-მოვალეობები

4.1 ბანკი ვალდებულია:

4.1.1 მიიღოს დეპოზიტორისაგან დეპოზიტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.1.2 დაარიცხოს დეპოზიტს საპროცენტო სარგებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.1.3 დაუბრუნოს დეპოზიტორს დეპოზიტი და დაარიცხული საპროცენტო სარგებელი იმავე ვალუტით.

4.1.4 დაიცვას საბანკო საიდუმლოება, დეპოზიტორის თანხმობის გარეშე არ გასცეს მესამე პირზე კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.1.5 დეპოზიტორს პრეტენზიაზე პასუხი გასცეს იგივე ფორმით პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

4.2 ბანკი უფლებამოსილია დეპოზიტორთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

4.3 ბანკი უფლებამოსილია დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანის შემთხვევაში, დეპოზიტორზე გასაცემი დეპოზიტის თანხა დააკორექტიროს დეპოზიტორის მიერ უკვე გატანილი საპროცენტო სარგებლის და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის თანხის გათვალისწინებით.<sup>10</sup>

#### 5 განსაკუთრებული პირობები

5.1 თუ სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, დეპოზიტორი არ არის უფლებამოსილი გაიტანოს დეპოზიტის თანხა.

5.2 თუ სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას ან/და ბანკს სხვა სამართლებრივი საფუძვლით წარმოეშობა უფლება, რომ საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს დეპოზიტზე არსებული სახსრების ხარჯზე, ბანკის მიერ დეპოზიტიდან თანხების ჩამოჭრა გამოიწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანა, კერძოდ, ბანკის მიერ სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შემთხვევაში, დეპოზიტს დაერიცხება რეალურად განთავსებულ ვადაზე წლიური \_\_\_\_\_ %, ხოლო ჩამოჭრის შემდეგ დარჩენილი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და დაარიცხული საპროცენტო სარგებელი აისახება დეპოზიტორის ანგარიშზე (მიმდინარე ან საბარათე, ხელშეკრულების შესაბამისად).

5.3 თუ დეპოზიტის მოქმედების ვადის გასვლამდე 31 კალენდარული დღით ადრე დეპოზიტორი არ მიმართავს ბანკს, რომ აღარ სურს დეპოზიტის განახლება, დეპოზიტის 2.3 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვისას წინამდებარე დეპოზიტი ავტომატურად განახლდება იმავე ვადით და პირობებით. ეს წესი გამოიყენება დეპოზიტის ვადის ყოველი ამოწურვისას

5.4 თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი ბანკის მიერ იცვლება ხელშეკრულების განახლების მომენტისათვის, ამის შესახებ, შეცვლილი საპროცენტო განაკვეთის მითითებით, ბანკი ორი თვით ადრე ადრე ატყობინებს დეპოზიტორს.

5.5 თუ ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული შეტყობინებიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე დეპოზიტორი არ განაცხადებს უარს განახლებაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე პირობებით/ვადით და შეცვლილი საპროცენტო განაკვეთით.

5.6 ბანკის მიერ დეპოზიტორს შეტყობინება ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით ან ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტ ბანკის ან მობაილ ბანკის მეშვეობით. თუ დეპოზიტორი შეცვლის

<sup>10</sup> იბეჭდება საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად გატანის შემთხვევაში.

მითითებულ ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამის შესახებ არ აცნობებს ბანკს, ეს უკანაკნელი ხელმძღვანელობს მისთვის ცნობილი რეკვიზიტებით და მათზე შეტყობინების გაგზავნა ითვლება დეპოზიტორის მიერ ინფორმაციის მიღებად.

- 5.7 თუ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული საპროცენტო განაკვეთი იზრდება, ბანკი თავისუფლდება შეტყობინების ვალდებულებისაგან.
- 5.8 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად განაცხადოს უარი განახლებაზე.

## 6 დეპოზიტის დაზღვევის შესახებ

6.1 დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: [www.diagency.ge](http://www.diagency.ge)

## 7 სხვა პირობები

- 7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
- 7.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
- 7.2<sup>1</sup> მხარეთა შორის ურთიერთობა/კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე.
- 7.2<sup>2</sup> სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ საზედამხედველო ორგანოს წარმომადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).
- 7.3 მხარეთა შორის წამოჭრილი უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.4 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

## 8 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

ბანკი	დეპოზიტორი
ს/კ 202906427 საბანკო საქმიანობის ლიცენზია N226ა	..... (სახელი, გვარი) ..... (მისამართი) ..... (პირადობის დამადასტურებელი საბუთის სხვა რეკვიზიტები) ტელეფონი..... ელ. ფოსტა: ხელმოწერა .....

\*- იბეჭდება საპროცენტო სარგებლის ყოველთვიურად გატანის შემთხვევაში.

\*\* - იბეჭდება საპროცენტო სარგებლის ვადის ბოლოს გატანის შემთხვევაში.

